მე-2 ყოველწლიური შეჯიბრი

იმიტირებული პროცესი

საერთაშორისო კომერციულ არბიტრაჟში

ქ. თბილისი, საქართველო

1 სექტემბრიდან - 16 ნოემბრამდე, 2014წ.

ორგანიზატორები:

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (“თსუ”) „დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი“, „მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტის“ (JILEP), საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრი (GIAC) “არბიტრაჟის ინიციატივა - საქართველო”

შინაარსი

წინამდებარე დოკუმენტში მოცემულია საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის მე-2 ყოველწლიურ შეჯიბრში ("**შეჯიბრი**") მონაწილე გუნდების მიერ გამოგზავნილ შეკითხვებზე შეჯიბრის საორგანიზაციო კომიტეტის მიერ მომზადებული პასუხები.

აღნიშნული დოკუმენტი ეგზავნება ყველა დარეგისტრირებულ გუნდს, რათა თითოეულ მონაწილეს ჰქონდეს თანაბარი ინფორმაცია შეჯიბრის მიმდინარეობასთან დაკავშირებით.

#	კითხვა	პასუხი
1.	*შესაძლებელი არის თუ არა კაზუსში მითითებული ნორმატიული მასალის გარდა სხვა საკანონმდებლო აქტების გამოყენებაც?*	თქვენ უნდა გამოიყენოთ მხოლოდ კაზუსში მითითებული ნორმატიული მასალა, რაც მოიცავს, საქართველოს კანონს "არბიტრაჟის შესახებ", 1980 წლის საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებების შესახებ კონვენციას, 1958 წლის ნიუ იორკის კონვენციას საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ. გამოსაყენებელი მასალა ასევე მოიცავს 2014 წლის არბიტრთა ეთიკის კოდექსს და საქართველოს საერთაშორისო არბიტრაჟის ცენტრის საარბიტრაჟო წესების, რაც ცალკე გამოგეგზავნებათ ან აიტვირთება ვებ-გვერდზე. გარდა ამ მასალისა, არგუმენტების ჩამოყალიბებისათვის, თქვენ აუცილებლად უნდა გამოიყენოთ სასამართლო გადაწყვეტილებები და დოქტრინა.
2.	*არბიტრის აცილებაზე მსჯელობა ჩაითვლება თუ არა არბიტრაჟის იურისდიქციაზე მსჯელობის შემადგენელ კომპონენტად ? თუ ამ კითხვაზე პასუხი თავად ჩვენ უნდა ვიპოვოთ?*	აღნიშნულ კითხვაზე პასუხი თქვენ კვლევის განმავლობაში უნდა იპოვოთ.
3.	*ჩაბარდათ თუ არა მოდავე მხარეებს ყველა ის წერილი რაც საქმის მასალებში არის მოცემული?*	ივარაუდეთ, რომ მხარეებს საქართველოს საერთაშორისო არბიტრაჟის ცენტრის საარბიტრაჟო წესების შესაბამისად ჩაბარდათ ყველა საქმის მასალა.
4.	*საარბიტრაჟო პროცესამდე რა ხნით ადრე გვეცოდინება მოსარჩელეები ვიქნებით თუ მოპასუხეები?*	შეჯიბრის წესების 5.1 პუნქტის შესაბამისად, პირველი რაუნდის ფარგლებში გასამართი იმიტირებულ საარბიტრაჟო პროცესებზე ინფორმაცია, მათ შორის გუნდის პოზიცია ეგზავნებათ მონაწილე გუნდებს და არბიტრებს ორგანიზატორების მიერ არაუგვიანეს პირველი რაუნდის დაწყებამდე 7 (შვიდი) კალენდარული დღით ადრე.
5.	*კაზუსის 1-2 გვერდზე გიწერიათ მხოლოდ 2 საკითხი, რომელიც შეეხება ჩანიშნულ საარბიტრაჟო სხდომას. ხოლო მე-6 გვერდზე ჩამოთვლილი გაქვთ 5 მოთხოვნა (2 ძირითადი და 3 ქვესაკითხი). დაწერილ სარჩელში უნდა ვისაუბროთ მხოლოდ კაზუსის მეორე გვერდზე დასახელებულ 2*	გუნდის მიერ წარმოდგენილი საარბიტრაჟო სარჩელი უნდა მოიცავდეს მსჯელობას კაზუსის მე-2 გვერდზე დასმულ ორ ძირითად საკითხზე: 1. აქვს თუ არა საარბიტრაჟო ტრიბუნალს დავის განხილვისათვის საჭირო იურისდიქცია? 2. დადეს თუ არა მხარეებმა სავალდებულო სამართლებრივი ხასიათის ხელშეკრულება ღვინის ნასყიდობასთან დაკავშირებით? მიუხედავად იმისა, რომ რეალური საარბიტრაჟო

#	კითხვა	პასუხი
	საკითხზე თუ ვისაუბროთ მე-6 გვერდზე დაყენებულ ყველა მოთხოვნასთან დაკავშირებით?	წარმოების ფარგლებში, არსებითი იქნებოდა აგრეთვე იმის დამტკიცებაც, რომ ფრანგულმა მხარემ დაარღვია ღვინის ნასყიდობის ხელშეკრულება და რომ ამით შპს "ღვინის მარან"-მა განიცადა მატერიალური ზიანი (ფაქტობრივად დამდგარი ზიანის ან/და მიუღებელი შემოსავლის სახით), ამ შეჯიბრის ფარგლებში ეს საკითხები არარელევანტურია და ამიტომ ამის თაობაზე სარჩელში მსჯელობა არ არის საჭირო. წმინდა ფორმალური თვალსაზრისით, შეგიძლიათ მხოლოდ ერთი წინადადებით მიუთითოთ, რომ ხელშეკრულება დაირღვა და რომ მოსარჩელის მიერ განცდილი ზიანი შეადგენს კაზუსში მითითებულ თანხას.
6.	*(კაზუსის გვ.2) "... თქვენ არ უნდა დააყენოთ მოთხოვნები ზიანის ანაზღაურებასთან ან მოთხოვნილი თანხის გონივრულობასთან დაკავშირებით". ეს წინადადება გუნდოვანია - გულისხმობთ ზიანის ანაზღაურების გუნდოვანებას თუ საერთოდ ზიანის ანაზღაურებას? ანუ, მოთხოვნა არ დავაყენოთ ზიანის ანაზღაურების გონივრულობასთან დაკავშირებით თუ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა არ დავაყენოთ საერთოდ?*	მონაწილეებს მოეთხოვებათ სარჩელში იმსჯელონ მხოლოდ კაზუსის მე-2 გვერდზე დასმულ ორ ძირითად საკითხზე (ტრიბუნალის იურისდიქცია და დაიდო თუ არა ნასყიდობის ხელშეკრულება). სარჩელში არ უნდა იმსჯელოთ იმის თაობაზე: ა. განიცადა თუ არა მოსარჩელემ ზიანი; და ბ. განცდილი ზიანი ნამდვილად შეადგენს თუ არა 10,000 ევროს. შესაბამისად, სარჩელი არ უნდა შეიცავდეს მტკიცებას არც ზიანის არსებობის და არც ზიანის ოდენობის თაობაზე. სარჩელის ფორმალური გამართულობის დაცვის მიზნით, სარჩელის ბოლოს, მოთხოვნების ნაწილში შეგიძლიათ მიუთითოთ კაზუსის მე-6 გვერდზე ჩამოთვლილი მოთხოვნები (ზიანის ანაზღაურების ჩათვლით, სარჩელში ამის თაობაზე დამატებითი მტკიცების გარეშე).
7.	*კაზუსის მე-3 გვერდზე გაქვთ ნახსენები არბიტრათა ასოციაციის ეთიკის კოდექსი. 2014 წელს საქართველოს არბიტრთა ასოციაციის მიერ შემუშავებულ კოდექსს გულისხმობთ?*	კაზუსში მითითება არბიტრთა ეთიკის კოდექსზე გულისხმობს საქართველოს არბიტრთა ასოციაციის მიერ 2014 წელს შემუშავებულ არბიტრთა ეთიკის კოდექსს. აღნიშნული კოდექსის ოფიციალური ვერსია უახლოეს დღეებში აიტვირთება იმიტირებული პროცესის სხვა მასალებთან ერთად, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრის ვებ. გვერდზე ან ინდივიდუალურად დაეგზავნება იმიტირებულ პროცესში მონაწილე ყველა გუნდს.